სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

e NEWSLETTER

ყველა ყველაფერის ხელავს...

გამოცემა
2014
N1

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ შეიცვალა მისამართი. გთხოვთ, მოგვმართოთ ჩვენს ახალ მისამართზე:

თბილისი, 0113,
რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა
(ისანი - ყოფილი ბაღდადის ქუჩა), №8.

სააგენტოში, ასევე, მოქმედებს ცხელი ხაზი. სამუშაო დღეებსა და საათებში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე:

(032) 2 48 48 22

და სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ თქვენთვის საინტერესო საკითხებზე მიიღოთ კომპეტენტური პასუხები და კონსულტაცია.

მოგესალმებით,

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ელექტრონული ჟურნალის გავრცელებას იწყებს. ეს გადაწყვეტილება სააგენტომ კომუნიკაციის გააქტიურებისა და ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლებთან უფრო მეტად დაახლოების მიზნით მიიღო.

ყოველთვიურ ელექტრონულ გამოცემაში მკითხველს საშუალება ექნება, გაეცნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საქმიანობის შესახებ ახალ ამბებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, მიმდინარე და დაგეგმილ ღონისძიებებს, ტენდერების მონიტორინგის შესახებ ინფორმაციას და სხვა მნიშვნელოვან სიახლეებს.

e-NEWSLETTER-ს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირებული ყველა მომხმარებელი შიდა ელექტრონული ფოსტის დახმარებით მიიღებს.

ასევე, ნებისმიერ მსურველს საშუალება ექნება გამოიწეროს და ელექტრონულ ფოსტაზე მიიღოს e-NEWSLETTER.

ელექტრონული ჟურნალი e-NEWSLETTER განთავსდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე www.spa.ge

იმედი გვაქვს, რომ ელექტრონული ჟურნალი მკითხველს საინტერესო ინფორმაციის მიღებაში დაეხმარება და კიდევ უფრო ხელმისაწვდომს და გამჭვირვალეს გახდის როგორც ერთიან ელექტრონულ სისტემას, ასევე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საქმიანობას.

საუკეთესო სურვილებით,

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარე ლევან რაზმაძე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

საქართველო, თბილისი 0113,
რიჩარდ ჰოლბრუქის ქუჩა. 8.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ სასწავლო ცენტრი გახსნა

სააგენტოს ერთ-ერთი პრიორიტეტი შესყიდვების სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებაა

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაზე გადასვლის შემდეგ სახელმწიფო შესყიდვების პროცესი და პროცედურები მუდმივად ვითარდება, რეფორმირდება და იხვეწება. ბუნებრივია, ე.წ. ქაღალდების ტენდერებიდან სრულად ელექტრონულზე გადასვლას გარკვეული საგანმანათლებლო, კომპეტენციის და კვალიფიკაციის პრობლემები ახლდა თან და დღემდე კვლავ აქტუალურ თემად რჩება კადრების კვალიფიკაციის საკითხი.

სააგენტოს თავმჯდომარის ლევან რაზმაძის ინიციატივით და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „დემოკრატიული მმართველობა საქართველოში“ წარმომადგენლებთან ერთად ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, რომლებსაც ესწრებოდნენ სახელმწიფო ორგანიზაციების შესყიდვების სპეციალისტები. შეხვედრების მთავარი თემა სახელმწიფო შესყიდვების პროცესში და პროცედურების განხორციელების დროს გამოვლენილი ხარვეზები და შეცდომები იყო. ასევე, სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები, კონსოლიდირებული ტენდერი, რა პრობლემებს აწყდებიან შემსყიდველი ორგანიზაციები სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის უკეთ გამოყენებისშესაძლებლობები, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების საბჭოს საქმიანობა, თეთრი სია, შავი სია, სამომავლო გეგმები, მათ შორის სხვდასხვა სახის საკანონმდებლო ცვლილებები და სხვადაკავშირებული საკითხები. შეხვედრებზე სააგენტოს ხელმძღვანელი პირები და თანამშრომლები დეტალურ ინფორმაციას აწვდიდნენ შემსყიდველებს პროცედურების განხორციელებისას წამოჭრილი პრობლემების შესახებ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში მეორე ნაკადის მსმენელთა ტრენინგი 17-28 ნოემბერს ჩატარდება

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ რეგიონალური შეხვედრები გა-

მართა ქვემო ქართლის, კახეთის, შიდა ქართლის, გურიის, იმერეთის და აჭარის რეგიონის, ასევე ქ. ფოთის ფარგლებში მოქმედ შემსყიდველ ორგანიზაციებთან.

სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დასაქმებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლების მიზანს ემსახურება სააგენტოს სასწავლო ცენტრი, რომელიც 15 ოქტომბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში საზეიმოდ გაიხსნა. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველო მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი მაია ცქიტიშვილი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ილია ბეგიაშვილი, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, მათ შორის, საქართველოში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბატონი ტოშიო კაიტანი, ნიდერლანდების, გერმანიისა და საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლები, ასევე, USAID-ის, GIZ-ისა და UNDP-ს წარმომადგენლები. ცენტრის გახსნას ესწრებოდნენ, აგრეთვე, სამინისტროების, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და სხვადასხვა უწყებების შესყიდვების სპეციალისტები.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში ადგილობრივი თვითმმართველობების შესყიდვების ორმოცდარვა სპეციალისტმა გაიარა სააგენტოს მიერ დაფინანსებული ტრენინგი „სახელმწიფო შესყიდვების კურსში“ და გადაეცათ სერთიფიკატები.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში 15 ოქტომბერსვე დაიწყო ტრენინგების პირველი ეტაპი. 24 ოქტომბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში ტრენინგების პირველი ნაკადის მსმენელების სწავლება დასრულდა. ადგილობრივი თვითმმართველობების შესყიდვების 48 სპეციალისტმა გაიარა ათ დღიანი ტრენინგი „სახელმწიფო შესყიდვების კურსში“.

მსმენელებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან რაზმაძემ გადასცა სერთიფიკატები.

მსმენელებმა დადებითად შეაფასეს სწავლების კურსი და ტრენერები.

აკაკი ორბელაძე (ქ. ქუთაისის მერიის შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი): ეს ტრენინგი, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ ადგილობრივი თვითმმართველობების შესყიდვების სპეციალისტებისთვის სრულიად უფასოდ ჩაატარა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ტრენინგებს უძღვებოდნენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები სააგენტოდან. ძალიან კმაყოფილი ვარ, აბსოლუტურად გაამართლა ჩემმა მოლოდინმა, ეს ათი დღე ძალიან ნაყოფიერი იყო, დიდი გამოცდილება და ცოდნა შევიძინე.

მანანა ბალიაშვილი (ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია): ტრენინგები საკმაოდ მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტებმა ჩაგვიტარეს, მათთან აქამდე სატელეფონო კონტაქტი გვქონდა, ეხლა პირადად გავიცანით. გამოცდილება გაგვიზიარეს, ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ვისაუბრეთ, განვიხილეთ ბევრი პრობლემური საკითხი და დაგვეხმარნენ მათ გადაწყვეტაში. ძალიან მაღალი დონის სწავლება გავიარეთ და ეს კურსი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში მეორე ნაკადის სწავლება 17-28 ნოემბერს ჩატარდება.

საინტერესო სტატისტიკა

28 ოქტომბრის მდგომარეობით

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით დაიწყო საპილოტე რეჟიმში 2010 წლის ოქტომბრიდან, ხოლო სრულფასოვნად მისი პრაქტიკული იმპლემენტაცია განხორციელდა 2010 წლის დეკემბერში.2010 წლის 1 დეკემბრიდან ქაღალდის ტენდერები გაუქმდა და მას შემდეგ ყველა სახელმწიფო შესყიდვა ელექტრონულად ტარდება.

საგულისხმოა, რომ ელექტრონული შესყიდვების შედეგად დადებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულების დაახლოებით 83% მოდის ელექტრონულ და გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერებზე, რომელთა ჯამურმა სავარაუდო ღირებულებამ 2011 წელს დაახლოებით 1,3 მილიარდი ლარი, 2012 წელს 1,5 მილიარდი ლარი, 2013 წელს 1,7 მილიარდი ლარი, ხოლო 2014 წლის 15 ოქტომბრის მდგომარეობით 1,6 მილიარდ ლარამდე შეადგინა, ანუ მთლიანობაში 6,1 მილიარდ ლარამდე შეადგინა

2010-2014 წლის განმავლობაში ელექტრონული სისტემის გამოყენებით 769 მილიონ ლარზე მეტი ოდენობის თანხა დაიზოგა. მიღწეული ეკონომიები ჯამური სავარაუდო ღირებულების 12,5% შეადგენს.

2011-2014 წლებში სავარაუდო ღირებულების, სახელშეკრულებო ღირებულების და ეკონომიის შედარება



	2011	2012	2013	2014 (15 ოქტომბრის მდგომარეობით)
სავარაუდო ღირებულება	1,341,635,101	1,542,974,292	1,685,997,653	1,570,266,092
სახელშეკრულებო ღირებულება	1,153,331,540	1,392,217,456	1,446,000,007	1,380,041,621
ეკონომია	188,303,561	150,756,836	239,997,646	190,224,471

საინტერესო სტატისტიკა

28 ოქტომბრის მდგომარეობით

აღსანიშნავია, ისიც, რომ უკანასკნელ ორი წლის მანძილზე საგრძნობლად გაზრდილია მონაწილეთა საშუალო რაოდენობა. 2014 წელს, ყველა ეკონომიკური სექტორის ჭრილში პრეტენდენტების საშუალო რაოდენობამ ტენდერში მაჩვენებლით 2.03 ერთიანი ელექტრონული სისტემის ჯერჯერობით რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია.

ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულებებით სახელმწიფო სახსრების რაციონალური და ეფექტური ხარჯვის მიზნით მიღებული გადაწყვეტილება ზოგიერთ საქონელსა და მომსახურებაზე სახელმწიფო შესყიდვა განხორციელებულიყო ელექტრონული კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით.

საწვავი - ჯამურად 2012-2014 წელს შედგა 13 ელექტრონული ტენდერი. ამ პერიოდისთვის მოხმარების მკვეთრი შემცირება აღინიშნება, რაც ძირითადად განპირობებულია ტოტალური საბარათე სისტემის დანერგვით, რომელიც იძლევა კონტროლისა და ადმინისტრირების ბევრად უფრო ეფექტურ საშუალებას ვიდრე საწვავის ტალონებით მიწოდება, მნიშვნელოვნად ამცირებს არამართლზომიერი მოხმარების რისკებს და მნიშვნელოვნად შეღავათიანს ხდის ანგარიშსწორებას;

მობილური კავშირის მომსახურება - მობილური კავშირის მომსახურების შესყიდვის მიზნით 2012-2014 წელს შედგა 3 ელექტრონული კონსოლიდირებული ტენდერი, რომლის ძირითადი პრინციპი იყო ერთიანი კორპორატიული ქსელის შექმნა ყველა სახელმწიფო დაწესებულებების მონაწილეობით. უპრეცედენტო სატარიფო ფასდაკლებებისა აღნიშნულს ხელი შეუწყო დეპოზიტური ბარათების ჩანაცვლებამ დებეტური ანგარიშსწორების სისტემით;

პორტაბელური კომპიუტერები (ლეპტოპები) და **მაგიდის კომპიუტერები** (დესკტოპები) - 2013-2014 წელს შედგა 3 ელექტრონული კონსოლიდირებული ტენდერი. შესყიდული ობიექტების ფასი საშუალოდ 25%-ით ნაკლებია საცალო საბაზრო ფასთან შედარებით.

საოფისე A4 ფორმატის ქაღალდი - 2013-2014 წელს შედგა 6 ელექტრონული კონსოლიდირებული ტენდერი. 2012 და 2013 წლების მონაცემების შედარების საფუძველზე დგინდება, რომ ერთეულ შეკვრაზე მიღებული დანაზოგი საშუალოდ შეადგენს 17%-ს ანუ 1.08 ლარს;

ზოგადი ტენდენციები ერთიან ელექტრონულ სისტემაში

(პერიოდი 2014 წლის ივლისის ბოლომდე)

1 ერთპრეტენდენტიანი ტენდერები

2013 წელი – 51,76%

2014 წელი – 49,17%

შემცირებულია 2,6 პროცენტული პუნქტით

2 პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა (ყველა ტენდერის ჭრილში)

2013 წელი – 2,01

2014 წელი – 2,06

გაზრდილია 0,05 პრეტენდენტით ერთ ტენდერში

3 ეკონომია[1]

2013 წელი – 13,90%

2014 წელი – 12,4%

4 საბოლოო სტატუსები, გამოცხადებული ტენდერების პროცენტულ მაჩვენებლებში

	2013	2014
ხელშეკრულება დადებულია	69,78%	73,38%
უარყოფითი შედეგით	2,9%	3,54%
არ შედგა	24,09%	20,11%
შეწყდა	3,17%	2,95%

[1] დანაზოგის პროცენტული ოდენობის ცვლილებაზე მოქმედებს ორი საპირისპირო მიმართულების ეფექტი: ა) გაზრდილი კონკურენციის დონე ზრდის ეკონომიას; ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან ადეკვატურად განსაზღვრული სავარაუდო ღირებულება ამცირებს ეკონომიის პროცენტულ მაჩვენებელს. შესაბამისად, გაზრდილი კონკურენციის პირობებში ეკონომიის შემცირებული პროცენტული ოდენობა შესაძლებელია შეფასდეს, როგორც დადებითი ტენდენცია.

ზოგადი ტენდენციები ერთიან ელექტრონულ სისტემაში

(პერიოდი 2014 წლის ივლისის ბოლომდე)

5 ტენდერის მიმდინარეობის ხანგრძლივობა დღეებში [2]

	2013	2014
გამარტივებული ელ. ტენდერი	5,68	6,62
ელ. ტენდერი	21,7	21,9

6 სატენდერო დოკუმენტაციისთან დაკავშირებით დასმული შეკითხვების რაოდენობა (როგორც მიმწოდებლების აქტიურობის ინდიკატორი)

2013 წელი – კითხვა დაისვა გამოცხადებული ტენდერების 9,64%

2014 წელი – კითხვა დაისვა გამოცხადებული ტენდერების 13,96% [3]

7 მცირე მოცულობის ტენდერების წილი გამოცხადებულ ტენდერებში

	2013 (27 888=100%)	2014 (15 914=100%)
2000 ლარამდე	4012 (14,38%)	2100 (13,19%)
2000-5000	4518 (16,53%)	2482 (15,59%)
5000-10000	4612 (16,53%)	2700 (17%)

8 ხელშეკრულების ცვლილებები – იმ ტენდერების პროცენტული წილი, სადაც განხორციელდა ხელშეკრულების ცვლილება

2013 წელი – 9,56%

2014 წელი – 7,43%

[2] ტენდერის მიმდინარეობის მეტი ხანგრძლივობა ასოცირდება პრეტენდენტების მეტ რაოდენობასთან. შესაბამისად, გასულ წელთან შედარებით ტენდერის მიმდინარეობის გაზრდილი ხანგრძლივობა მიგვანიშნებს ორგანიზაციების შესყიდვების კულტურის გაუმჯობესებაზე.

[3] კერძო სექტორი უფრო აქტიურად იცავს თავის უფლებებს.

დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილებების სტატისტიკური მაჩვენებლები

2010 წლის 10 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა დავების განხილვის საბჭო. იგი შედგება 6 წევრისგან. საბჭო დაკომპლექტებულია პარიტეტულ საფუძველზე, სააგენტოსა თანამშრომლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ დავების განხილვის საბჭო არის დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებაში და მისი გადაწყვეტილების შეცვლა/გაუქმება არ შეუძლია არცერთ სახელმწიფო ორგანოს. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს მხოლოდ სასამართლოში და გაუქმებული დავების განხილვის პროცედურა, ისევე როგორც საბჭოს გადაწყვეტილებები არის საჯარო და ის ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით.

დავების განხილვის საბჭოში შემოსული საჩივრების რაოდენობა წინა წლებთან (2011-2012წწ) შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდილია (იხ. დიაგრამა 1).

2013-2014 წლების ანალიზი ცხადყოფს, რომ საჩივრების რაოდენობა საგრძნობლად იზრდება და მას შეუქცევადი ხასიათი აქვს.

2010-2014 წწ შემოსული საჩივრების სტატისტიკა

დიაგრამა 1



რაც შეეხება საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიღებულ იქნა სამეწარმეო სუბიექტების სასარგებლოდ, საგულისხმოა, ქვეყნის სათავეში ახალი პოლიტიკური ძალის მოსვლის შემდგომ, მათი რაოდენობა წინა წლებთან შედარებით მკვეთრადაა გაზრდილი. მაგალითად, 2014 წელს შემოსული საჩივრებიდან 101 საჩივარი სრულად, ხოლო 81 ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ანუ შემოსული 445 საჩივრიდან 182 საჩივარზე მიღებული იქნა მომჩივანის სასარგებლო გადაწყვეტილება (იხ. დიაგრამა 2).

2013 წლიდან კი დღემდე ბიზნესის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილებები 43 %-ს შეადგენს, რაც ჩვენი აზრით ფრიად შთამბეჭდავი მაჩვენებელია.

აღსანიშნავია ისიც, რომ დავების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან სასამართლოში გასაჩივრდა სულ 28 გადაწყვეტილება, რაც შეადგენს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების 2.9%-ს. დავების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასამართლომ 14 (1.9%) სარჩელის შემთხვევაში ძალაში დატოვა და არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა. დანარჩენი 5 საქმე განხილვის პროცესშია. საგულისხმოა ისიც, რომ 14 გადაწყვეტილებიდან 2 არ არის საბოლოო, კასაციას და აპელაციას ექვემდებარება.

დიაგრამა 2



- დაკმაყოფილდა
- არ დაკმაყოფილდა
- დაუშვებლად მიჩნეული
- გაუქმებული
- განხილვის პროცესში
- ნაწილობრივ დაკმაყოფილდა

2014 წლის ოქტომბრის მდგომარეობით ჯამში შემოსულია 445 საჩივარი

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 10 დღის ვადაში, რაც მაქსიმალურად მოკლე ვადაა და ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მას მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება.

ნიშანდობლივია, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ გაფართოვდა საჩივრების წარმომდგენ პირთა გეოგრაფია და იმატა გასაჩივრებული ტენდერების რაოდენობამ რეგიონებში.

თუკი 2010-2011 წლებში საჩივრების უმეტეს ნაწილს (67%) შეადგენდა თბილისი (იხ. დიაგრამა 3), 2012 წლის შემდგომ გასაჩივრებულმა ტენდერებმა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი მოიცვა.

დიაგრამა 3



- თბილისი
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
- კახეთი
- იმერეთი
- ქვემო ქართლი
- შიდა ქართლი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი
- სამცხე-ჯავახეთი
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა
- რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად მიუთითებს, რომ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეთა (პრეტენდენტების) ნდობა ამ მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინსტიტუციის მიმართ დღითი-დღე იზრდება, რაც თავის მხრივ კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს საქართველოში არსებულ ბიზნეს გარემოზე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო კერძო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდა

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელობის ინიციატივით დაიწყო საინფორმაციო შეხვედრები საქართველოში მოქმედი ბიზნესების წარმომადგენლებთან სხვადასხვა დარგის და სფეროების მიხედვით.

პირველი ასეთი საინფორმაციო შეხვედრა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ სექტემბერში სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გამართა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის, ბიზნესსექტორისა და საქართველოში აკრედიტებული უცხოური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

შეხვედრის მიზანი იყო სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით ბიზნეს საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის პოპულარიზაცია და კერძო სექტორის დაინტერესება.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა კერძო სექტორს საკმაოდ კარგ შესაძლებლობას აძლევს საკუთარი ბიზნესარეალის გაფართოებისათვის, დღეისათვის ბიზნესსექტორის ჩართულობა საჯარო შესყიდვებში ჯერ კიდევ არ არის მაღალი.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან რაზმაძემ შეხვედრის მონაწილეებს გააცნო სახელმწიფო შესყიდვების სფეროში საქართველოს მთავრობისა და სააგენტოს ინიციატივები. გაკეთდა პრეზენტაციები სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის, წესებისა და რეგულაციების, ელექტრონული შესყიდვების სისტემისა და პროცედურების შესახებ; აგრეთვე, სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ.

მეორე საინფორმაციო შეხვედრა ნოემბრის შუა რიცხვებში შედგება.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა კერძო სექტორს ბიზნესარეალის გასაფართოებლად საკმაოდ კარგ შესაძლებლობას აძლევს, ჩართულობის მაჩვენებელი ჯერ კიდევარ არის მაღალი

SIGMA-ს მისია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში



სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში SIGMA-ს (მართვისა და მმართველობის განვითარების მხარდაჭერის პროგრამა) მისიის ვიზიტის დროს სახელმწიფო შესყიდვების საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო განიხილეს, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა მაღალი იყო; სამომავლო მუშაობისათვის აქტუალური თემებიც გამოიკვეთა.

21-24 ოქტომბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ოთხ დღიანი სამუშაო ვიზიტით SIGMA-ს (ევროკავშირისა და OECD-ის ერთობლივი ინიციატივა; მართვისა და მმართველობის განვითარების მხარდაჭერის პროგრამა) მისია იმყოფებოდა. ვიზიტი საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებაში ტექნიკური დახმარების ფარგლებში მიმდინარეობდა და მისი მიზანი საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს განხილვა იყო.

სამუშაო შეხვედრებზე იმსჯელეს იმ სფეროებზე, რომლებიც ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ ძირითად სტანდარტებთან და ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან დაახლოებისათვის, საჭიროებს შემდგომ დახვეწას.

სემინარს ესწრებოდნენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, ფინანსთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელწიფო მინისტრის აპარატის და ეკონომიკური საბჭოს წარმომადგენლები.

„ძალიან წარმატებული და შედეგიანი შეხვედრები იყო, მათ შორის, ჩვენთვის, ექსპერტებისათვის. უკეთ გავეცანით არსებულ საჭიროებებს და გამოწვევებს, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შემდგომი თანამშრომლობის პროცესს“, - ასეთი შეფასება მისცა ვიზიტის დასრულებისას OECD / SIGMA - ს საჯარო შესყიდვების საკითხებში უფროსმა მრჩეველმა ბატონმა დანიელ ივარსონმა. მისი თქმით, „აღსანიშნავია სამუშაო შეხვედრებში მონაწილეთა დიდი რაოდენობა და დაინტერესება, მათი აქტიური ჩართულობა. დასმული შეკითხვებისა და წამოჭრილი საკითხების საფუძველზე გამოვლინდა სამომავლო ღონისძიებების, სემინარების შესაძლო აქტუალური თემები. შესაბამისად, SIGMA შეძლებს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მხარდაჭერის გაგრძელებას და ნაყოფიერ თანამშრომლობას,“ - აღნიშნა ექსპერტმა.

ალბანეთის დელეგაცია ელექტრონულ ტენდერს რეალურ დროში აკვირდებოდა

6 ნოემბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ალბანეთის ოფიციალური დელეგაცია იმყოფებოდა. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ბატონი ენის ჰოხნა (იუსტიციის სამინისტრო), ქალბატონი ფრანვერა კასტრატი (ეკონომიკის განვითარების, ვაჭრობის და მეწარმეობის სამინისტრო), ქალბატონი ვალბონა საკო (ქ. დურისის რეგიონალური საგადასახადო დირექტორი), ქალბატონი ელიდა ფარა (ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების და ფისკალური პოლიტიკის სექტორის უფროსი), ბატონი არბენ მალაჯი (საჯარო პოლიტიკის და მმართველობის ტირანის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი).

ალბანეთის დელეგაციის ვიზიტის მიზანი იყო საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გაცნობა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან შეხვედრას ესწრებოდნენ სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე კახი დემეტრაშვილი, იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი სოფიკო ბერიშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების დირექტორი მანანა შურღულაია, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის დირექტორი დავით ჯაიანი, ანალიტიკური ჯგუფის ხელმძღვანელი ანა ჭანია და სხვ.

სააგენტოს წარმომადგენლებმა ალბანეთის დელეგაციის წევრებს გააცნეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის რეალურ დროში მუშაობა - სტუმრებს საშუალება ჰქონდათ დაკვირვებოდნენ ელექტრონული ტენდერის მიმდინარეობას.

სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებთან დაკავშირებული ცვლილებები

სახელმწიფო შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობის, ხელმისაწვდომობის ამაღლებისა და შესყიდვებთან დაკავშირებული პროცედურების დახვეწის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ 2014 წელს რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება განახორციელა.

2014 წლის 1 ოქტომბრიდან შევიდა ძალაში ცვლილება, რომლის მისი მიზანია სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების განხორციელების ხელოვ- ნურად შეჩერება/გაჭიანურების შესაძლებლობების მინიმუმამდე დაყვანა.

ამ ცვლილების თანახმად: შემსყიდველი ორგანიზაციის ანჰდა სატენდერო კომისიის ქმედების გასაჩივრება შესაძლებელი იქნება გადაწყვეტილების შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სისტემაში ატვირთვიდან არაუგვიანეს 15 დღეში.

აღსანიშნავია, აგრეთვე, შავი სიის წარმოებასთან დაკავშირებული ცვლილებები, რომლის თანახმადაც:

პრეტენდენტისჰმიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საკითხის გადასაწყვეტად განისაზღვრა 2-თვიანი ვადა, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს ერთი თვით;

შავ სიაში რეგისტრაციის ერთ-ერთ საფუძვლად განისაზღვრა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება, ნაცვლად „არასრულად“ შესრულებისა;

შემსყიდველ ორგანიზაციას სააგენტოში შეუძლია წარმოადგინოს შეტყობინება პრეტენდენტისჰმიმწოდებლის შავ სიაში დასარეგისტრირებლად იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და ამოწურულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო;

შემსყიდველი ორგანიზაცია შავ სიასთან დაკავშირებულ შეტყობინებას აღარ დაურთავს იმ დოკუმენტაციას, რომელიც უკვე ატვირთულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში;

შემცირდა გაფრთხილების მიღების ოდენობა, კერძოდ, შავ სიაში დარეგისტრირებამდე პრეტენდენტს/მიმწოდებელს შესაძლებელია მიეცეს მხოლოდ ერთი (ნაცვლად ორისა) გაფრთხილება.

იხილეთ საკანონმდებლო აქტები გმულზე:
http://procurement.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=37

იხილეთ კანონქვემდებარე აქტები გმულზე:
http://procurement.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=38



სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდი იცვლება

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წლის ბოლომდე შეიცვლება სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი. ახალი ვებგვერდი ნებისმიერი მომხმარებლისთვის ბევრად უფრო მოსახერხებელი, ვიზუალურად და ტექნიკურად დახვეწილი და ინფორმაციული იქნება.

ვებგვერდის ცვლილებაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მენეჯმენტი რამდენიმე თვეა მუშაობს. საკუთარი შიდა რესურსებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით ახალი ვებგვერდის დიზაინისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის მიზნით, ყოველკვირეულ რეჟიმში ტარდება სამუშაო შეხვედრები.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში 12 ნოემბრის მონაცემებით რეგისტრირებულია 19306 მიმწოდებელი და 4429 შემსყიდველი ორგანიზაცია